# საექსპერტო დასკვნა

III კლასს დაქვემდებარებული, სასაწყობო დანიშნულების შენობის არქიტექტურული პროექტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობაზე.
ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №12, (ს/კ 01.19.22.002.024).
პროექტი შესრულებულია **შპს „ტე ეს ტე არქსტუდიო“-**ს მიერ.
პროექტის მთავარი არქიტექტორი თ. მურვანიძე.

საექსპერტო დასკვნა ჩატარებულია შპს **„ეკლექტი“-**ს მიერ, თუმანიანის შეს. №4.
დირექტორი – ქ. მაისურაძე.
პროექტის არქიტექტორი ა. ლომსაძე.
ინსპექტორი – არქიტექტორი ქ. მაისურაძე.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

## შენიშვნები:

1.
საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის–„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა,

დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

## დაგეგმარების საფუძველი და მიზანი:

წინამდებარე პროექტის მიზანს წარმოადგენს სასაწყობო შენობის განთავსება, თანამედროვე სტანდარტებისა და შენობა-ნაგებობათა უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით. შენობაში დასაწყობდება **პლასტმასის მილები**, შესაბამისად იგი მიკუთვნებულია **სასაწყობო ჯგუფ სწ-1**-ს ასევე, შენობაში განთავსდება ადმინისტრაციული ნაკვეთურები - **სქ ჯგუფი.**

## მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. №12-ში. საკადასტრო მონაცემებით ტერიტორიის ფართობი შედგენს 6116 კვ.მ-ს. ტერიტორიაზე განთავსებულია რამოდენიმე შენობა. ახალი შენობისთვის გამოყოფილი არეალი მდებარეობს ნაკვეთის სამხრეთით. ტერიტორიას გარშემო ესაზღვრება კერძო საკუთრების საკადასტრო ერთეულები, ხოლო სამხრეთით – ქიზიყის ქუჩა.

## პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

სარეკონსტრუქციო შენობა წარმოადგენს ორსართულიან სასაწყობო ნაგებობას. რელიეფიდან გამომდინარე მეორე სართულზე მოხვედრა ხდება პირდაპირ ეზოდან და იგი მთლიანად არის იზოლირებული შენობის პირველი სართულისგან, პირველი სართული დათმობილი აქვს საწყობს,

ხოლო მეორე დონის უმეტესი ნაწილი წარმოადგენს ღია ტერასას, რომელსაც ორ მხარეს აკრავს მსუბუქი კონსტრუქციის ფარდული, რომელიც მთლიანად გახსნილია ტერასის მხარეს, სამხრეთით ასევე მოწყობილია მცირე ზომის ადმინისტრაციული ნაკვეთური.

## პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემების აღწერა:

პირველი სართული და მეორე სართულის ნაწილი რკინა-ბეტონის კონსტრუქციაა, ხოლო ფარდულის კონსტრუქცია წარმოადგენს ლითონის პროფილირებულ ელემენტებს. შენობა განეკუთვნება III კლასს.

## შენობის დაგეგმარებისას გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

სასაწყობო შენობისა და საპროექტო მიწის ნაკვეთის დაგეგმარებისთვის გამოყენებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“.

## ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი – 6116.0 კვ.მ

განაშენიანების ფართობი – 835.6 კვ.მ

საერთო ფართობი – 1487.9 კვ.მ

მათ შორის:

- საოფისე ფართობი – 125.6 კვ.მ
- საზაფხულო ფართობი – 429.6 კვ.მ
- სასაწყობო ფართობი – 880.8 კვ.მ
- დამხმარე ფართობი - 37.9 კვ.მ
- კიბის ფართობი - 14.0 კვ.მ

შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე - 8.29 მ

მათ შორის: 0.00 ნიშნულს ქვევით – 0.46 მ

0.00 ნიშნულს ზევით – 7.83 მ

შენობა-ნაგებობის სამშენებლო მოცულობა - 4300 კუბ.მ

მათ შორის: 0.00 ნიშნულს ქვევით – 400 კუბ.მ

0.00 ნიშნულს ზევით – 3900 კუბ.მ

კ-1 კოეფიციენტი – არ არის განსაზღვრული

კ-2 კოეფიციენტი – არ არის განსაზღვრული

კ-3 კოეფიციენტი – არ არის განსაზღვრული

საექსპერტო დასკვნა შეიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებაში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-თან შესაბამისობას შემდეგ ნაწილებში:

## 1) დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვა:

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ დაკავებულობებისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას.
წარმოდგენილ პროექტში დაკავებულობები კლასიფიცირებულია წესების **მე-3 თავის** მიხედვით და შეესაბამება **304.1 ქვეთავის** მოთხოვნებს, სადაც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად და **311.1 ქვეთავის** მოთხოვნებს, სადაც **სასაწყობო ჯგუფის (სწ)**

დაკავებულობა, სხვებთან ერთად, მოიცავს საწყობად გამოყენებულ შენობას ან ნაგებობას, ან მათ ნაწილს და არ კლასიფიცირდება, როგორც საფრთხის შემცველი დაკავებულობა.
და **312-ე ქვეთავის** მოთხოვნებს, სადაც **დამხმარე დაკავებულობა (დს)** მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენებას რომელიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიურ კლასს.

საპროექტო შენობის მიწისპირა, **პირველი სართული 0.00** ნიშნულზე დათმობილი აქვს სასაწყობო ფართობს, რომელიც **311.2 ქვეთავის** შესაბამისად, მიეკუთვნება **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობას, ფართობით **738.3 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=16.** ამავე სართულზე განთავსებულია დამხმარე სათავსო, ფართობით **5.9 მ²** რომელიც **312-ე ქვეთავის** შესაბამისად მიეკუთვნება **დამხმარე (დს)** ჯგუფს. დატვირთვის ფაქტორისთ **27.9** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**.

საპროექტო შენობის **მეორე სართულზე** +3.40 ნიშნულზე განლაგებულია სასაწყობო, საოფისე და დამხმარე ფართები: სასაწყობო ფართობი, **311.2 ქვეთავის** შესაბამისად, როგორც **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **142,5 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=4**, საოფისე ფართობი, **304 ქვეთავის** შესაბამისად, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **125.6 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=17.** დამხმარე სათავსოები, ფართობით **32,0 მ²** რომელიც **312-ე ქვეთავის** შესაბამისად მიეკუთვნება **დამხმარე (დს)** ჯგუფს. დატვირთვის ფაქტორისთ **27.9** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2.**
შემოთავაზებული ფართობების **ჯამი = 1044.3 მ².**
საერთო დაკავებულობის დატვირთვა **დდ=40.**

## 2) კონსტრუქციის ტიპების კლასიფიცირება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით, საპროექტო შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის კარკასი), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები აკმაყოფილებს **601 ქვეთავის 601 ცხრილის** მოთხოვნებს.

საპროექტო შენობაში გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით და შენობაში არსებული დაკავებულობის საფუძველზე შენობისთვის განსაზღვრულია კონსტრუქციის **II-B** ტიპი. პროექტის მიხედვით ზემოთაღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი **721 ქვეთავში** აღწერილ

მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს 1 საათს და შეესაბამება **601 ცხრილში II-B** ტიპის კონსტრუქციისთვის მოთხოვნილ 1-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს. გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი 2-საათს უდრის დააკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმალურ ხანძარსაწინააღმდეგო 1-საათიან ხარისხს.

## 3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

**503-ე ცხრილის** მიხედვით, **II- B** ტიპის კონსტრუქციის შენობისთვის სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

**სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობისთვის დაშვებულია სართული–3, სიმაღლე–16.8 მ და ფართობი–1630 მ$^2$, ხოლო წარმოდგენილია სართული–2, სიმაღლე–8.29 მ და ფართობი–880.8 მ$^2$.

**საქმიანი (ს-ქ)** ჯგუფის დაკავებულობისთვის დაშვებულია სართული–4, სიმაღლე–16.8 მ და ფართობი–2140 მ$^2$, ხოლო წარმოდგენილია სართული–1, სიმაღლე–3.2 მ და ფართობი–125.6 მ$^2$.

**დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობისთვის დაშვებულია სართული–2, სიმაღლე–16.8 მ და ფართობი–790 მ$^2$, ხოლო წარმოდგენილია სართული–2, სიმაღლე–8.29 მ და ფართობი–37.9 მ$^2$.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობა ორსართულიანია, მიწის ზემოთ სიმაღლით–7.83 მ, განაშენიანების ფართობით–835.6 მ$^2$ და საერთო ფართობით–1487.9 მ$^2$.

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია წესების **მე-5 თავის 503-ე ცხრილის** მიხედვით, შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე და აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

## 4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის დაკავებულობების დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობა ორსართულიანია. რელიეფიდან გამომდინარე შენობის პირველი და მეორე სართულები მთლიანად იზოლირებულია ერთმანეთისგან და თითოეული დაკავებულობა წარმოდგენილია დამოუკიდებელი გასასვლელებით. <u>პირველ სართულზე</u> **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობას ორი გასასვლელი გზა-კარი აქვს „1–8“ ღერძების მხრიდან და ერთი პროდუქციის გასატანად განკუთვნილი განიერი კარი – „ა–დ“ ღერძების მხრიდან, რომლებიც უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს **0.00** ნიშნულზე, ხოლო <u>მეორე სართულზე</u> განთავსებული **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა მთლიანად გახსნილია „ბ–დ“ და „8–2“ ღერძების მხრიდან და გადის ღია ტერასაზე (+**3.40** ნიშნულზე), ამავე ტერასაზე გადის **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა ერთი დამოუკიდებელი გასასვლელი გზა-კარით „8–1“ ღერძების მხრიდან.

**0.000** ნიშნულზე განთავსებულ დამხმარე სათავსოს **(დს)** გააჩნია გასასვლელი გზა-კარი **"ბ-გ"** ღერძებს შორის, ხოლო **3.400** ნიშნულზე განთავსებული დამხმარე სათავსებიდან ერთერთი მთლიანად გახსნილია (**"გ"** ღერძის მიმდებარედ) ხოლო მეორეს გააჩნია გასასვლელი გზა-კარი (**"დ"** ღერძის მიმდებარედ).

**3.400** ნიშნულიდან საზოგადოებრივ სივრცესთან მიდგომა შესაძლებელია **"ა-გ"** ღერძებში მდებარე კიბით.

**1016.2 ცხრილის** მიხედვით, როგორც **სასაწყობო (სწ-1),** ასევე, **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობისთვის, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი ავტომატური საშხეფი სისტემის გარეშე დაშვებულია **60** მეტრი, ხოლო, **დამხმარე (დს)** ჯგუფისთვის **90** მეტრი.

პროექტით წარმოდგენილია:

**სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობისთვის – **30.30** მეტრი;

**საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობისთვის – **25.11** მეტრი.

**დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობისთვის - **14.43** მეტრი.

საპროექტო შენობის დაკავებულობების გასასვლელისკენ სავალი მაქსიმალური მანძილი შეესაბამება **1016.2 ცხრილის** მოთხოვნებს.

## 5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო შენობა ორსართულიანია, რომელსაც გზა-კიბე არ გააჩნია, რადგან რელიეფიდან გამომდინარე მეორე სართულზე მოხვედრა ხდება პირდაპირ ეზოდან და იგი მთლიანად იზოლირებულია პირველი სართულისგან. **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობას აქვს ორი გასასვლელი გზა-კარი, **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობას კი – ერთი გასასვლელი გზა-კარი.

შენობის ყველა გასასვლელი გზა-კარი მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე (**82** სმ) განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1** მმ).

საპროექტო შენობის გასასვლელი გზა-კარების სუფთა მინიმალური თავისუფალი სიგანე შეადგენს **0.82** მეტრს და აკმაყოფილებს **1008.1.1 ქვეთავის** მოთხოვნას.

## 6) მისაწვდომობის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **მე-11 თავის** მიხედვით, სასაწყობო **სწ** ჯგუფის დაკავებულობის შემცველი შენობები, არ საჭიროებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა მისაწვდომობას.

**1105.1 ქვეთავის** თანახმად, მისაწვდომი შესასვლელი საჭირო არ არის ფართობებზე, რომელზეც მისაწვდომობის უზრუნველყოფა საჭირო არ არის.

**1104.4 ქვეთავის** თანახმად, მრავალდონიან შენობებსა და ნაგებობებში მისაწვდომი სვლაგეზი არ სჭირდება სართულებსა და ანტრესოლებს, რომელთა საერთო ფართობი არ აღემატება **280** $მ^2$-ს და რომლებიც მდებარეობს მისაწვდომი დონეების ზემოთ ან ქვემოთ. **საქმიანი (სქ)**

ჯგუფის დაკავებულობის ფართობი კი – შეადგენს **125.6 მ²**-ს, და ამიტომ მისაწვდომობა არ მოეთხოვება.

## 7) გარე კედლებისადმი მოთხოვნები.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი **721 ქვეთავში** აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს **1** საათს და შეესაბამება **601 ცხრილში II-B** ტიპის კონსტრუქციისთვის მოთხოვნილ **1**-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება **705.8 ცხრილის** მოთხოვნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტში იქ, სადაც მაქსიმალური მანძილი **9** მეტრზე მეტია, არ საჭიროებს გარე კედლების ცეცხლმედეგობის უზრუნველყოფას **602 ცხრილის** მიხედვით, ხოლო შენობის დანარჩენი გარე კედლები (რომლებიც საკადასტრო საზღვარზე მდებარეობს), უზრუნველყოფილია **1**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხით.

„**2 – 1**“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **4.47** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია დაუცველი საშხეფის გარეშე **25 %**, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

„**8 – 2**“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **16.62** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია დაუცველი საშხეფის გარეშე შეუზღუდავად, ხოლო წარმოდგენილია **100 %**.

„ა – დ“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **3.13** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია დაუცველი საშხეფის გარეშე **15 %**, ხოლო წარმოდგენილია **5 %**.

„1 – 8“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **13.15** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია დაუცველი საშხეფის გარეშე შეუზღუდავად, ხოლო წარმოდგენილია **12 %**.

„დ – ა“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **1.53** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია დაუცველი საშხეფის გარეშე **10 %**, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

## 8) სახურავის ანაწყობების შეფასება.

საპროექტო შენობა წარმოადგენს ორსართულიან სასაწყობო ნაგებობას. შენობის პირველი სართული გადახურულია რკინა-ბეტონის ფილით, რომლის უმეტესი ნაწილი წარმოადგენს მეორე დონის ღია ტერასას, მეორე დონის დანარჩენი ნაწილი დახურულია ასევე მონოლითური ფილით სახურავის ბურულად გამოყენებულია ლითონის კონსტრუქციაზე მოწყობილი თუნუქის პროფილირებული ფილა, რაც სრულიად შეესაბამება მოთხოვნებს.

**1505.1 ცხრილის** თანახმად, სახურავის მინიმალური ბურულების კლასიფიკაცია **II-B** ტიპის კონსტრუქციის შენობა-ნაგებობებისთვის განსაზღვრულია **C** კლასის სახურავის კლასის ანაწყობები.

**1505.3 ქვეთავის** თანახმად, **C** კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას.

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია **601 ცხრილის** მიხედვით და შეესაბამება მოთხოვნებს.

## 9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობის გარე კედლები აგებულია, ორსაათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის, რკინა-ბეტონით. **707.3 ცხრილის** მიხედვით, ცეცხლისგან დაცულ ფართობებს შორის მდებარე ცეცხლმედეგი ზღუდის, ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხებთან დაკავშირებული მოთხოვნების თანახმად, გამმიჯნავების ერთსაათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხია მოთხოვნილი. საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილ შენობას მხოლოდ ერთი გამმიჯნავი კედელი აქვს მეორე დონის **სასაწყობო (სწ-1), საქმიანი (სქ)** და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობებს შორის, რომელიც აგებულია ორსაათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის, ბეტონის ბლოკით.

## 10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

**903.2.9 ქვეთავის** თანახმად, სასაწყობო **(სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობის შემცველი შენობები მთლიანად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ავტოსაშხეფი სისტემით, თუ **სწ-1** ჯგუფის ხანძრისაგან დაცული ფართობი **1200 მ²**-ს აღემატება. საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი **(სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობის ფართობი კი–შეადგენს **880.8 მ²**-ს და ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

**903.2.7 ქვეთავის** თანახმად, **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობას არ საჭიროებს **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობაც.

**904 ქვეთავის** მიხედვით, შენობა ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

**905 ქვეთავის** მიხედვით, საპროექტო შენობა სახანძრო მილდგარების სისტემების მოწყობას არ საჭიროებს.

**906.1 ქვეთავის** თანახმად, საპროექტო შენობაში ხელის ცეცხლმაქრები გათვალისწინებულია.

**907 ქვეთავის** მიხედვით, საპროექტო შენობაში მოწყობილია სახანძრო განგაშის, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები.

**908 ქვეთავის** მიხედვით, საავარიო განგაშის სისტემის მოწყობა გათვალისწინებულია საპროექტო შენობის **სასაწყობო (სწ-1)** და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობებში.

**909 ქვეთავის** მიხედვით, კვამლის საკონტროლო სისტემებით აღჭურვილია მხოლოდ **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა.

## 11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობა გამოთვლილია **სასაწყობო(სწ-1)** და **საქმიანი(სქ)** ჯგუფის დაკავებულობების დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით (დდ=37) და შეესაბამება **ცხრილი 1602.1-**ის მინიმალურ მოთხოვნებს. გამოთვლისას მიღებული წილადი რიცხვი დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე და წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა:

- ერთი უნიტაზი და ერთი ხელსაბანი;
- ერთი შხაპი;
- ერთი სამომსახურეო ნიჟარა;
- ერთი წყლის დასალევი შადრევანი(“დისპენსერი”).

**დასკვნა:**

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. №12-ის (ს/კ 01.19.22.002.024) ტერიტორიაზე განთავსებული ორსართულიანი სასაწყობო დანიშნულების შენობის პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

**საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.**

ინსპექტორი

არქიტექტორი ქართლოს მაისურაძე










ДИПЛОМ

ПВ № 049083

Настоящий диплом выдан Маисурадзе Картлосу Шалвовичу в том, что он в 1978 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина и в 1987 году окончил полный курс названного института по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от "4" июня 1987 г. Маисурадзе К.Ш. присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси "28" х 1987 г.

Регистрационный № 3154

Московская типография Гознака. 1986.

ДИПЛОМИ

ПВ № 049083

ეს დიპლომი მიეცა ქართლოს შალვას ძე მაისურაძეს იმაზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა საქართველოს ვ.ი.ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1987 წელს დაამთავრა ინსტიტუტის სრული კურსი სპეციალობით არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1987 წ. 4 ივნისის გადაწყვეტილებით ქ-ნ მაისურაძეს მინიჭებულ იქნა არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1987 წ. „28" x

სარეგისტრაციო № 3154

Грузинский ин.

# სამუშაო გამოცდილება

| | |
|---|---|
| პირადი მონაცემები | **სახელი:** ქართლოს<br>**გვარი:** მაისურაძე<br>**დაბ. თარიღი:** 26 თებერვალი1959 წ. |
| საკონტაქტო ინფორმაცია | **ფაქტ. მისამართი:** ქ. თბილისი, თუმანიანის შეს. №4<br>**მობ.:** 593 328 322<br>**ელ. ფოსტა:** kartlosm@gmail.com |
| განათლება | 1978 – 1987 წწ.<br>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ყოფ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის) არქიტექტურის ფაკულტეტი, სპეციალობა – არქიტექტურა |
| ენები | ქართული - მშობლიური<br>რუსული - სრულად |
| სამუშაო პროგრამები | AutoCAD<br>Adobe Photoshop<br>Corel Draw<br>Artlantis Studio<br>Microsoft office |
| სამუშაო გამოცდილება | 1984-1985 წწ.<br>**ორგანიზაციის დასახელება:** თბილქალაქპროექტი<br>**ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება<br>**პოზიცია:** ტექნიკოსი<br><br>1987-1992<br>**ორგანიზაციის დასახელება: „ტექტონი"**<br>**ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება, მშენებლობა**<br>**პოზიცია:** არქიტექტორი<br><br>1987-1992 წწ.<br>**ორგანიზაციის დასახელება:** „საკოლმშენსახპროექტი"<br>**ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება<br>**პოზიცია:** არქიტექტორი |

| | |
|---|---|
| სამუშაო გამოცდილება | 1993-1994 წწ.<br>**ორგანიზაციის დასახელება:** საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სამსახური „დიპსერვისი“-ს საპროექტო ორგანიზაცია „დიპდიზაინი“.<br>**ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა<br>**პოზიცია:** არქიტექტორი<br><br>1994-2000 წწ.<br>**ორგანიზაციის დასახელება:** შპს „სმარტი“<br>**ორგანიზაციის პროფილი:** კომპიუტერული გრაფიკა<br>**პოზიცია:** არქიტექტორი<br><br>2000-2004 წწ.<br>**ორგანიზაციის დასახელება:** შპს „გიორგაძე, გიორგაძე და პარტნიორები“<br>**ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა<br>**პოზიცია:** არქიტექტორი<br><br>2006-2007 წწ.<br>**ორგანიზაციის დასახელება:** შპს „არქიტექტონიკა“<br>**ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა<br>**პოზიცია:** დირექტორი<br><br>2007-2017 წწ.<br>**ორგანიზაციის დასახელება:** შპს „მოდულიონი“<br>**ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა<br>**პოზიცია:** დირექტორი<br><br>2013 წ - დან<br>**ორგანიზაციის დასახელება:** შპს „ეკლექტი“<br>**ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა<br>**პოზიცია:** დირექტორი<br><br>2017 წ - დან<br>საქართველოს მთავრობის დადგენილება **№41**, ტექნიკური რეგლამენტი **"შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"**-თან დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა.<br>**პოზიცია:** ინსპექტორი |